

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N9 - იმეილ ბანკი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

- 1. პუნქტი 2** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**2. იმეილ ბანკის** საშუალებით, **კლიენტი** (გარდა **SOLO X კლიენტისა**) უფლებამოსილია **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, **განაცხადში** მოცემული **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე (დამატებით **SOLO კლიენტის** შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართზე: soloemailbanking@bog.ge, ხოლო **WM კლიენტის** შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: WMOperations@bog.ge), **ბანკს** მისცეს წინამდებარე დანართით განსაზღვრული **ოპერაციების** შესახებ **დავალება**. ამასთან:“
- 2. 2.2 ქვეპუნქტი** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ **2.2. SOLO X კლიენტის**შემთხვევაში **SOLO X კლიენტის** მხრიდან **დავლების** **იმეილ ბანკის** საშუალებით ინიცირება არ არის შესაძლებელი, შესაბამისად, **SOLO X კლიენტის** მხრიდან **დავლების** წინამდებარე **დანართის** მე-2 **პუნქტში** მოცემულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ინიცირების შემთხვევაში, **ბანკი** არ მიიღებს ასეთ **დავლებას**; ხოლო **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით (სატელეფონო ან/და სხვა), **SOLO X კლიენტთან** კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული **დავლების** შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია იმოქმედოს ამ **დანართის** მე-12 **პუნქტით** განსაზღვრული პროცედურით, ამავე დანართის მე-4 **პუნქტით** განსაზღვრულ **ოპერაციებთან** მიმართებაში.“
- 3. პუნქტი 4** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**იმეილ ბანკის** საშუალებით **SOLO კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:“
- 4. 4.34 ქვეპუნქტი** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
განაცხადში დაფიქსირებული ელ. ფოსტის ცვლილება, ახალი ელ. ფოსტის დამატება/ცვლილება/გაუქმება;